შეთანხმება

საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ფინანსური თანამშრომლობის შესახებ პროექტისათვის „გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა/ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი“

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა

საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობების სულისკვეთებით,

ამ მეგობრული ურთიერთობების პარტნიორული ფინანსური თანამშღომლობით განმტკიცებისა და გაღრმავების სურვილით,

აცნობიერებენ რა, რომ ამ ურთიერთობების შენარჩუნება ამ შეთანხმების საფუძელს წარმოადგენს,

ესწრაფვიან რა საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტნას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

(1) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას აძლევს შესაძლებლობას მაინის ფრანკფურტის აღორძინების ბანკიდან მიიღოს გრანტი 5.000.000, - გერმანული მარკის (სიტყვიერად: ხუთი მილიონი გერმანული მარკის) ოდენობით პროექტისათვის „გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა/ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი“, თუკი შემოწმების შემდეგ ხელშეწყობის მიზანშეწონილება დადგინდება და დადასტურდება, რომ იგი როგორც პროეტი გარემოს დაცვის დარგში დაფინანსების გზით ხელშეწყობის განსაკუთრებულ წინაპირობებს ასრულებს.

(2) პირველ პუნქტში აღნიშნული პროექტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის და საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს სხვა პროექტებით.

თუკი ეს პროექტი ბუნების დაცვის სფეროში სხვა პროექტით, სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროში პროექტით ან თვითდახმარებაზე ორიენტირებული, სიღარიბის აღმოფხვრისაკენ მიმართული ღონისძიებით შეიცვლება, რომელიც დაფინანსების გზით ხელშეწყობის განსაკუთრებულ წინაპირობებს ასრულებს, შესაძლებელი იქნება დაფინანსების მიღება, სხვა შემთხვევებში კი სესხი გაიცემა.

(3) იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას მოგვიანებით მისცემს შესაძლებლობას რეკონსტრუქციის ბანკიდან მიიღოს გრანტი პირველ პუნქტში დასახელებული პროექტის მომზადებისათვის ან პირველ პუნქტში დასახელებული პროექტის განხორციელებისა და ზედამხედველობისათვის საჭირო თანმხლები ღონისძიებებისათვის, ეს შეთანხმება გამოყენებას ჰპოვებს.

(4) მესამე პუნქტში აღნიშნული მოსამზადებელი და თანმხლები ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული გრანტები გარდაიქმნებიან სესხად იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამგვარ ღონისძიებებს არ მოხმარდებიან.

მუხლი 2

(1) პირველი მუხლის პირველ პუნქტში დასახელებული თანხის გამოყენებას, მისი გაცემის პირობებს, მაგ. ტენდერის გამოცხადების პროცედურას ადგენს ხელშეკრულება, რომელიც უნდა დაიდოს აღორძინების ბანკსა და გრანტის მიმღებს შორის და რომელიც ექვემდებარება გერმანიაში მოქმედ სამართლებრივ ნორმებს.

პირველი მუხლის პირველ პუნქტში დასახელებული თანხის მიწოდებაზე თანხმობა ძალას კარგავს, თუ შესაბამისი ხელშეკრულება დაფინანსების შესახებ, თანხმობის მიცემის წლიდან რვაწლიან ვადაში არ დაიდება. ამ თანხისათვის ვადა 2005 წ. 31 დეკემბერს, 24.00 საათზე იწურება.

მუხლი 3

საქარველოს აღმასრულებელი ხელისუფლება ათავისუფლებს რეკონსტრუქციის ბანკის ყველა გადასახადისა და სახელმწიფო მოსაკრებლებისაგან, რომლებიც საქართველოში მეორე მუხლში დასახელებული ხელშეკრულების დადებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოიშვება.

მუხლი 4

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება სესხის გაცემასთან და გრანტების მიცემასთან დაკავშირებულ საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტით მგზავრთა და ტვირთთა ტრანსპორტირებისას, სატრანსპორტო საწარმოების თავისუფალ არჩევანს მიანდობს მგზავრებსა და მიმწოდებლებს, არ მიიღებს ზომებს,რომლებიც გამორიცხავენ ან ართულებენ იმ სატრანსპორტო საწარმოთა თანასწორუფლებიან მონაწილეობას, რომლებსაც ადგილსამყოფელი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აქვთ და საჭიროების შემთხვევაში გასცემს ამ საწარმოთა მონაწილეობისათვის საჭირო ნებართვებს.

მუხლი 5

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

ხელმოწერილია თბილისში 1998 წლის [21] დეკემბერს ორ პირად, თითოეული შესრულებულია ქართულ და გერმანულ ენებზე, ამასთან ორივე ენაზე შესრულებულ ტექსტს სავალდებულო ძალა გააჩნია.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სახელით

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის სახელით